საქართ. მეშვარც. ხლც.-შრომ. ხარეკვ. პარტია

სრიგუნა

მთავარ კომიტეტის ორგანო

„სრიგუნა“ ლირს
თვეულად 200,000 მან.
ცალკე ნომერი ყველგან 10,000 მან.
ოფიციალური და კანტორა: ტფილისი, ხახახლის ქუჩა, № 6
ტელეფონი 10—34 — ფოსტის ყუთი, № 130.

განცხადების ფასი
1 გვ. 60,000 მან. ნახევარ-
4 „ 50,000 „
საგვლოვიანო განცხადება
1 გვ. 800,000 მან.
4 „ 500,000 „

№ 444 შაბათი, აპრილის 14 1923 წ. უოველდღიური გაზეთი ფასი 10,000

ორშაბათს, აპრილის 16-ს, საღამოს 5 საათზე

საქართველოს პროფკავშირთა საბჭოს ფიდ დარგაზში

შ ე ს ხ ვ ე ბ ა

ტფილისის საბჭოს პლენუმის სხდომა

დღის წესრიგი:

1. მოხსენება პრეზიდიუმის მოღვაწეობისა და მომავალ მუშაობის გეგმის შესახებ.
2. „კომზაგესის“ მოხსენება მუშაობის მსვლელობის შესახებ. საბჭოს წევრები, რომელთაც არ მიუღიათ საწევრო წიგნაკები, ვალდებული არიან მიიღონ დაუყონებლივ, წინააღმდეგ შემთხვევაში, უწიგნაკოთ არ იქნებიან დაშვებული სხვდომაზე.

№ 316—2—1 **პრეზიდიუმი.**

ლოზანას გაგრძელება

მკითხველებს კარგად მოეხსენებათ ლოზანას კონფერენციის გამოცდილმა დიპლომატიამ ვერ იხსნა ახლო აღმოსავლეთში შექმნილი მდგომარეობა და ვერ შესძლო გამოსავალის პოვნა შექმნილ ინტერესთა წინააღმდეგობიდან.

ოსმალეთის, რუსეთის და ევროპის ინტერესთა დაპირისპირებამ ერთი მხრივ და მეორე მხრივ კაპიტალისტურ ქვეყნების ურთიერთშორის დაუძლეველმა უთანხმოებამ ბოლო მოუღო ლოზანას კონფერენციის სხდომებს. როგორც ვიცით ლოზანას კონფერენცია გადადებულ იქნა და დღეს უკვე მზადება სწარმოებს მისი განახლებისათვის.

რადიო—დეპეშების ცნობით ოსმალეთი წინადადებას იძლევა, რომ კონფერენცია მოწვეულ იქნეს 23 აპრილს. ოსმალეთს უკვე ყავს დელეგაციის შემადგენლობა გამორკვეული, რომელიც განწყობილნი არია პესიმისტურად.

მართლადაც და რა ბედი უნდა ეწიოს ახლო აღმოსავლეთის საკითხს? როგორი შედეგების წინაშე დაგვაყენებს ლოზანას განახლებული მუშაობა? შესძლებს თუ არა ლოზანა რეალური შედეგების მიღწევას?

უნდა ვიფიქროთ, რომ მოკავშირეთა შორის შესაძლებელია შერბილებული იქნეს ის წინააღმდეგობანი, რომელსაც ადგილი ქონდა ლოზანას მუშაობის პროცესში. არავისთვის არ უნდა იყოს საკამათო, რომ ინგლისის დუმილი რურის ოლქის ოკუპაციის შესახებ გამოწვეული არის შეთანხმებით, რომ იგი კომპესაციას ღებულობს ახლო აღმოსავლეთის საკითხში და აქ მას გახსნილი აქვს ხელი საფრანგეთის პოლიტიკური წრეების მიერ. ეს გარემოება აუცილებლად აუმჯობესებს მოკავშირეთა მდგომარეობას, მაგრამ, რა თქმა უნდა, კრიზისის დასაძლევად ის კიდევ არ კმარა.

ოსმალეთისა და ინგლისის ინტერესები არ შეიძლება არ იყოს ანტაგონისტური ურთიერთ შორის. მართალია ისიც, რომ ინგლისი დიდ კომპრომისებს დაუშვებს, რომ საბჭოთა რესპუბლიკებს ჩამოაცალოს მოკავშირე აღმოსავლეთში და ამით ზღუდე აღმართოს აზიური ქვეყნებისათვის რევოლიუციის „საფრთხისაგან“ მაგრამ ოსმალეთის პოლიტიკური წრეებისათვის არ შეიძლესა არ იყოს ნათელი, რომ სრუტეებში სამხედრო გემების ნავარდობა და ინგლისის ჰეგემონიისათვის გზის გახსნა ახლო აღმოსავლეთში უდრის განთავისუფლებული ოსმალეთის ისევ დასავლეთის იმპერიალიზმის ბატონობის ქვეშ მოქცევას.

ამასთანავე როგორიც არ უნდა იყოს საბჭოთა რესპუბლიკების დამოკიდებულება ლოზანას კონფერენციასთან, მიიღებს იგი თუ არა უშუალო მონაწილეობას ლოზანაში, თვით ფაქტი საბჭოთა რესპუბლიკების არსებობისა იმ მაშტაბით და იმ გეოგრაფიულ მდებარეობით, რომელიც მას უჭირავს ახლო აღმოსავლეთის საკითხისათვის არ შეიძლება არ იქნეს მეტად მნიშვნელოვანი.

კიდეც შესაძლებელი რომ გახდეს ოსმალეთისა და ინგლისს შორის საერთო ენის გამონახვა, გარეშე საბჭოთა რესპუბლიკების ანგარიშის გაწევისა, უნდა ვიფიქროთ, რომ ეს კიდევ ვერ გადასწყვეტს აღმოსავლეთის საკითხს და ის დიდსა და სერიოზულ დაბრკოლებებს გადაეღობება წინ.

ჩვენ ვიცით, რომ კაპიტალისტური ქვეყნების დიპლომატიამ ვერაფერი გადაწვიტა „მშვიდობიანი“ გზით. როგორც აღმოსავლეთში საჭირო გახდა მათ მიერ ცეცხლის დანთება და ერთა შორის ომის გაჩაღება, ისე დასავლეთშიაც ხმალი ალაპარაკდა.

პოლიტიკურ ძალთა განწყობილება ჯერ კიდევ იმდენათ არ შეცვლილა, რომ ახალი სიტუაცია იქნებოდეს, საფუძველი ქონდეს ახალ პოლიტიკურ ნიუანსებს.

არ უნდა დავივიწყოთ ის გარემოებაც, რომ ლოზანაში ამერიკის „მეთვალყურე“ ხშირად დირიჟორობდა, როგორც კონფერენციის კულისებს, ისე თვით ოფიციალ სხდომებსაც.

დღეს ნავთის კონსეციების შესახებ ლაპარაკი და ბჭობაა ამერიკასა და ოსმალეთს შორის და, თუ ერთი მხრით ინგლისი შეეცდება ოსმალეთის გამოყენებას, მეორე მხრით ამერიკაც ხელს არ გაუშვებს ოსმალეთის გამოყენებას ინგლისის წინააღმდეგ, რადგან ინგლისის გაბატონება ახლო აღმოსავლეთში არც ისე მოსათმენია ამერიკისათვის, რომელსაც თავის პრეტენზიები აქვს აზიისაკენ.

თუ რას იტყვის ლოზანას კონფერენცია კონკრეტიულად, ამაზედ ლაპარაკი შეუძლებელია, მაგრამ ჩვენ ვფიქრობთ რომ დამარცხებულ დიპლომატთა საუბრის დასასრულ. არ შეიძლება იგი ოპტიმისტური ხასიათის.

ფრა

ბათომში გამოვიდა ყოველ-კვირეული სალიტერატურო გაზეთი „მწვერვალი“. პირველი ნომრის მოწინავეში გაზეთი ასე გვაცნობს თავის თავს:

„მიზანი ჩვენი პილიგრამობისა ფრიადი არის: ჩვენ არა გვწამს ხელოვნება ხელოვნებისათვის, როგორც ამას მოითხოვენ ტფილისის პრესის ლებიაფანები ეგრეთ წოდებულ „უანწიზმის“ სარდაფებიდან. ფილოსოფიურ და ლიტერატურულ მიმართულებათა ისტორიულ ჩარჩოებში ჩაყენება, გამოძებნა რეალურ პირობათა, რომელშიც წარმოიშვება ესა თუ ის ხელოვნური ნაწარმოები, აღნიშვნა ისტორიულ განვითარების კანონშეწონილობის ფაქტისა ლიტერატურულ სფეროში,—აი ჩვენი მიზანი!

ჩვენ გვჯერა, რომ ჩვენში „უანწიზმის“ შემოჭრა არაა ჩვენი ცხოვრების სინამდვილე, იგი უალრესად კონტრაბანდური ნიმუშია უცხოეთის ბურჟუაზიის აგონიით დაბერწებულ ხელოვნებისა, რომელსაც განიცდიდა დასავლეთი ევროპა, განსაკუთრებით უკანასკნელ ორმოც წლებში, ხოლო რუსეთში კი „Urbi et orbi“-ს გამოსვლით საზღვარი დაედო გაოგნებას ხელოვნებისას. ჩვენ ვერ შევიწყნარებთ ამ კონტრაბანდას და ცენტრს, ტფილისს, აჯანყებით ვუპასუხებთ, თუ კარდინალურად არ შეიცვლის აღებულ მარშრუტს.

ხელოვნების იდეალად ისევ დედამიწა მივიჩნიეთ და არა ცა და მისი საიდუმლოებანი.

გვახარებს ხელოვანის მტკიცე მუხლი და სინამდვილის მშვრეტი თვალები, რომლითაც ხელოვანი ისე ჰკვეთს ყოველს, როგორც მხედრის ხელში კამარაშევლებული მახვილი.

ჩამოურეცხელ სირცხვილად მიგვაჩნია, თუ დღევანდელ დღეს, კიდევ დენდიზმით დავითენთოთ და ავხოროცობის ჰიმნით და პრიტონებში შექმნილი ჰისტერიული შაირებით გავუმასპინძლდეთ ამ განახლებულ ცხოვრებასა!

ახალი ღირებულების შექმნა, გარდაფასება არსებულის,—აი რა გვსურს ჩვენ.

„უანწიზმის“ მოსვლას ჩვენ პატივს ვცემთ, რამდენადაც ილიას სიკვდილიდან დაწყებულ ხელოვნების სფეროს რევოლიუცია დააჩქარა, მაგრამ რა ერთი ეს რევოლიუცია დამთავრებულია, ხოლო აღმშენებლობის გეგმა „უანწიზმისა“ დაავადებულია, ჩვენ მას ხელსა ვკრავთ და ვიშორებთ:

„მავრმა თავისი საქმე შეასრულა: მავრს შეუძლიან რომ წავიდეს“!

ჩვენ კი „მწვერვალის“ გზით მოვუწოდებთ აფხაზურ შვილდით დარახტულ ახალ მწერლობას, ფოლად მუხლიანს, ვისაც სჯერა დედამიწის სინამდვილისა!

„მწვერვალზე“ ვქსოვთ მომავალ თაობის შვილების ბუდეს, სადაც გვირგვინოსანი არწივი ოქროს ნისკარტით მოგვიტანს საზრდოს, რომელსაც პრომეთეოსის ცეცხლი ჰქვიან“!

ფრანგ-ინგლისელები

რურის ოლქის ოკუპაცია

ფრანგების შეჭრა ნეკარში

მოსკოვი. 13 აპრ. მანგეიმიდან იტყობინებინებიან, რომ ფრანგები შეიჭრენ და დაიკავეს სამრეწველო ნავთსადგური ნეკარი.

ქალაქ დიუსბურგზე საოკუპაციო ხელისუფლებამ დაადო 75.000,000 მარკა ჯარიმა.

მრეწველებს განზრახული აქვთ ობსტრუქციის გამოცხადება

მოსკოვი. 13 აპრ. რურის მრეწველებს როგორც სჩანს, განზრახული აქვთ გადავიდენ ენერგიულ ობსტრუქციაზე ამის შესახებ მოგვითხრობს „დეიჩე ტაგეს ცეიტუნგის“ ესსენელი კორესპონდენტი.

რკინის გზის ხიდის აფეთქება ბაუერში

მოსკოვი. 13 აპრ. რურიდან იტყობინებიან, რომ ბიუერში მოხდა რკინის გზის ხიდის აფეთქება ფრანგებმა ქალაქ ბიუერს დაადვეს 50 მილ. მარკა ჯარიმა.

საქსონიის ლანდტაგი ეხენის ამბების შესახებ

მოსკოვი. 13 აპრ. საქსონიის ახალ ლანდტაგის სხდომაზე ლანდტაგის პრეზიდენტმა განაცხადა პროტესტი ესსენის სისხლის მღვრელ შეტაკების წინააღმდეგ. დამატებითი განცხადება იმავე საკითხზე გაიკეთა კომუნისტმა შევერმა რომელმაც აღნიშნა რომ კრუპის მუშები გახდენ მსხვერპლი ნაციონალისტურ შეულლისა. მინისტრ პრეზიდენტი ცეიგნერის განცხადებამ, რომ სანამ შეძლებული კლასები არ გაიღებენ მატერიალურ მსხვერპლს საფრანგეთთან შეთანხმება არ მოხდებაო გამოიწვია ბურჟუაზიულ დეპუტატებში ხმები: „მოღალატე“ ცეიგნერი ენერგიულად იცავდა აგრედვე მუშათა თავდაცვის ორგანიზაციას.

ინგლისის პოზიცია

ბერლინი. 13—4 აპრ. გაზეთ „ფოსსიში ცაიტუნგის“ სპეციალური კორესპონდენტი ლონდონში იუწყება, რომ შემდეგში, როგორც ამბობენ ლონდონის ავტორიტეტულ წრეებში, საკონტრიბუციო საკითხში თავს დაიჭერს და ამ პოზიციას დაიცავს, სანამ გერმანიის და საფრანგეთის ოფიციალური წინადადებები, საფუძველს არ მისცემენ მას შესცვალოს პოზიცია. კორესპონდენტის ცნობით ლუშერის წინადადებაზე ნეიტრალური პოზიციიდან რურის საკითხში ინგლისი გადასულიყო აქტიურ პოლიტიკაზე, ბალდვინმა კატეგორიული უარი განაცხადა. ამავე გაზეთის პარიზელი კორესპონდენტი იუწყება, რომ ინგლისის საბოლოო პასუხი გამოქვეყნდება საფრანგეთის ელჩის ლონდონში სენოლერის ბონარ-ლოუსთან თათბირის შემდეგ. ამის შემდეგ იქნება ნათელია თანახმა თუ არა ინგლისი დაიკავოს რურის ოლქი საფრანგეთმა იმ დროამდი, სანამ გერმანია მთელ თავის ვალებს არ გადაიხდის.

კუნო პოლიტიკას ხცვლის

პარიზი. 13—4 აპრ. ბერლინში კუნომ თათბირი გამართა პარტიის ლიდერებთან. თათბირზე სრული შეთანხმება მოხდა. ფიქრობენ, რომ კუნომ გადასწყვიტა უფრო აქტიური პოლიტიკა აწარმოოს.

უმუშევართა მოძრაობა

ლონდონი. 14—4 აპრ. „დეილი მეილის“ სპეციალური კორესპონდენტის ცნობით დიკსბურგში 2000 მუშა შეიკრიბა ქალაქის თვითმართველობის შენობასთან თავისი მოთხოვნილებების წარსადგენათ, უმუშევრებს ესროლეს, მოკლეს 4 და დასჭრეს 136 კაცი. უმუშევართა მოძრაობა მოედო ფრანგების მიერ დაკავებულ ტერიტორიის სხვა სამრეწველო რაიონებსაც.

რკინიგზელების გადასახლება

ბერლინი. 13—4 აპრ. საოკუპაციო მთავრობა განაგრძობს რეინლანდიდან რკინისგზელების გადასახლებას. გარეკეს თავისი ბინებიდან და გადასახლეს 17.000 კაცზე მეტი.

ქ. ბიერის პროტესტი

ბერლინი. 13—4 აპრ. ქ. ბიერის თვითმართველობამ პროტესტი განაცხადა რკინის გზის ხიდის აფეთქებისათვის საოკუპაციო მთავრობის მიერ კონტრიბუციის სახით 50 მილიონი მარკის გაწერის გამო. პროტესტს ასაბუთებენ იმით, რომ ქალაქის თვითმართველობა ვერ აგებს პასუხს ხიდის აფეთქებაში, რომელსაც ფრანგი ჯარის კაცები იცავდენ.

ბალდვინი უარყოფს

ბერლინი. 13—4 აპრ. თემთა პალატაში პასუხის დროს ბალდვინმა კატეგორიულად უარყო ხმები, თითქო ინგლისის მთავრობას აზრათ აქვს შესცვალოს თავისი პოლიტიკა რურში და მხარი დაუჭიროს საფრანგეთის აქტივობას, ეს ხმები წარმოშვა ლუშერის ლონდონში ჩამოსვლამ.

ᲣᲪᲮᲝᲔᲗᲘ

გოტიეს დაპატიმრება.

მოსკოვი, 13 აპრილი. პარიზიდან იტყობინებიან, რომ რუანში დააპატიმრეს ქვემო რეინის პროფ-კავშირთა ფედერაციის დეპარტამენტის მდივანი გოტიე.

კომუნისტების პროცესი.

მოსკოვი, 13 აპრილი. ბრიუსელში დაიწყო 15 დაპატიმრებულ კომუნისტის პროცესი.

ნანსენი საბჭოთა რუსეთის ფინანსიურ აპარატის შესახებ.

მოსკოვი, 13 აპრილი. საბჭოთა რუსეთის შესახებ მორიგ წერილში ნანსენი აღწერს რუსეთის ფინანსიურ აპარატს და მოჰყავს ანგარიში ბანკის დირექტორთან შეიმანთან საუბრის შესახებ.

ანტი-იაპონური მოძრაობა ძლიერდება.

მოსკოვი, 13 აპრილი. ანტი-იაპონური მოძრაობა ჩინეთში მნიშვნელოვნად გაიზარდა. ჩინეთის ფირმები აუქმებენ ხელშეკრულებებს იაპონელებთან. ამ მოძრაობის ცენტრად ითვლება შანხაი.

შეიარაღებულ ძალების შემცირება.

მოსკოვი, 13 აპრილი. 3 წლის მუშაობის შემდეგ სპეციალურმა კომისიამ წარუდგინა სამხედრო მინისტრს დასკვნა შვეიცის შეიარაღებულ ძალების შემცირების შესახებ, რომელიც ძალიან გაიზარდა 14 წელს. საინტერესოა აღინიშნოს, რომ ეხლანდელი რუსეთი არ წარმოადგენს უშუალო საფრთხეს სკანდინავიის ქვეყნებისათვის.

მთავრობის დამარცხება.

მოსკოვი, 13 აპრილი. თემთა პალატაში მთავრობის უმაგალითო დამარცხების გამო მთავრობის წრეებში ფიქრობენ, რომ საჭიროა ემზადონ ახალი საარჩევნო კამპანიისათვის. ფინანსიურ ბილის განხილვის დროს მთავრობას ხმა მისცა 138 წევრმა, წინააღმდეგ 145-ისა. ამ ინციდენტს სთვლიან იმ ფაქტორად, რომელიც მთავარ როლს ითამაშებს მთავრობის მომავალ პოლიტიკის შეცვლის საკითხში. მთავრობის პოლიტიკის შეცვლის მიზეზად ითვლება ამ ჟამად სასოფლო-სამეურნეო გაფიცვა. ფერმერები მოელიან მთავრობისაგან სასოფლო-სამეურნეო სუბსიდიებს და ფიქრობენ, რომ თუ მთავრობა არ დაეხმარა მათ, ისინი კიდევ უფრო შეამცირებენ სასოფლო-სამეურნეო მუშების ხელფასს, ვინაიდან დაიწყო ფართო კამპანია, რომელსაც აწარმოებენ კონსერვატიული ორგანიზაციებიც კი, ასეთ სუბსიდიების სასარგებლოდ შესაძლებელია ზოგიერთი ნამდვილი დათმობანი მთავრობის მხრივ.

მეამბოხეთა მთავარ-სარდლის გარდაცვალება ირლანდიაში.

მოსკოვი, 13 აპრილი. დუბლინიდან მიღებულ ცნობის თანახმად, გარდაიცვალა ირლანდიის თავისუფალ სახელმწიფოს მეამბოხეთა მთავარ-სარდალი ლია-ბლინჩი იმ ჭრილობისაგან, რომელიც მან მიიღო ნიუ-კესტლში მთავრობის [illegible]ებთან შეტაკების დროს. მთელი პრესა დიდ [illegible]ენელობას აძლევს ლიაბლინჩის გარდაცვალებას [illegible] ფიქრობს, რომ ეს გამოიწვევს დიდ ცვლილებას [illegible] მეამბოხეთა მოძრაობაში.

მარტოვის დაკრძალვა.

მოსკოვი, 13 აპრილი. მარტოვის დაკრძალვაზე, რომელიც მოხდა გუშინ, გამოცხადდენ მრავალი საზღვარ-გარეთელი მენშევიკები. დაკრძალვის დროს სიტყვა წარმოსთქვეს კრისპინმა, აბრამოვიჩმა, წერეთელმა, და ჩერნოვმა. დაკრძალვას დაესწრო აგრეთვე მაქსიმ გორკი და გერმანიის რეიხსტაგის პრეზიდენტი ლებე.

პროტესტები გაზ. „როტე ფანეს“ დახურვის წინააღმდეგ.

მოსკოვი, 13 აპრილი. ბერლინში გაზ. „როტე ფანეს“ დახურვის გამო გაიმართა მრავალრიცხოვანი საპროტესტო კრებები. მემარცხენე ბურჟუაზიული სოციალ დემოკრატიული პრესა სასტიკად გმობს „როტე ფანეს“ დახურვას. გაზეთი „ფორვერტსი“ მოითხოვს ასეთი ზომის დაუყოვნებლივ გაუქმებას. გაზეთი ფიქრობს, რომ ასეთი ზომები მეტ ღირსებას მატებს კომუნისტებს.

პროლეტარული დახმარება საბჭოთა რუსეთს.

მოსკოვი, 13 აპრილი. ერფურტის კოოპერატივის „სახალხო ძალას“ საზოგადო კრებაზე მიღე-

ბულ იქნა რეზოლიუცია, რომელიც მოითხოვს ხელი მოაწერონ საბჭოთა რუსეთისათვის საერთაშორისო პროლეტარულ დახმარების სესხზე.

მთავრობამ დაკარგა თავისი პრესტიჟი.

მოსკოვი, 13 აპრილი. ფემთა პალატის 12 აპრილის დილის სხდომაზე ინგლისის მთავრობა შეეცადა გამოესწორებია თავისი გუშინდელი დამარცხება და ხელახლა წამოეყენებია იგივე საკითხი, რომლის კენჭის ყრის დროსაც მან მიიღო ხმების უმცირესობა პარლამენტში. მთავრობის თვალსაზრისზე მდგომ ბალდვინისა და ოპოზიციის მეთაურის მაკდონალდის შორის მოხდა შეკამათება. ბალდვინი აღიარებდა რა, რომ გუშინდელი სხდომა მთავრობის მარცხით დასრულდა, მაინც ამტკიცებდა, რომ მთავრობის წინადადება განხილულ იქნას ხელახლა, რადგან მთავრობას არ დაუკარგავს პალატის ნდობა. ამ ნიადაგზე გაიმართა კამათი, რომელმაც ისეთი მწვავე ხასიათი მიიღო, რომ მთავრობა იძულებული იყო შეეწყვიტა სხდომა, რომ დაემშვიდებიათ დეპუტატები. პარლამენტის ორი წევრი ხელითაც შეეხენ ერთმანეთს. ინგლისის გაზეთები ერთხმად ამტკიცებენ, რომ მთავრობამ დაკარგა თავისი პრესტიჟი.

ამერიკელები შეშფოთდენ.

მოსკოვი, 13 აპრილი. ინგლისის მთავრობის დამარცხება აურ-ზაურს იწვევს ამერიკის მთავრობაში, რომელიც შიშობს, რომ ინგლისის კაბინეტის დაცემა მოითხოვს ახალ მოლაპარაკებას ვალების შესახებ.

ბუდაპეშტის მუშები იბრძვიან.

მოსკოვი. 13 აპრილი. ბუდაპეშტის მუშები განაგრძობენ ბრძოლას შრომის ხელფასისათვის. ამის გამო ქალაქის საბჭო შეეცადა გაფიცულები შტრეიკბეხერებით შეეცვალა. პოლიცია იმუქრება რეპრესიული ზომების მღებით თუ გაფიცვა გადავიდა წყალსადენზე, გაზის ქარხანაზე და ელექტრონის სადგურზე.

სპარსეთში რუსული გამოფენის ხელისშემწყობი კომისია.

მოსკოვი. 13—4 აპრ. თეირანში საბოლოოთ მოეწყო სპარსეთში რუსული გამოფენისათვის ხელის შემწყობი კომისია. კომისიას ხელმძღვანელობს სპარსეთის სავაჭრო პალატის თავმჯდომარე,

მემელში გაფიცვა დამთავრდა.

მოსკოვი. 13 აპრილი. პარიზიდან მიღებული ცნობით საყოველთაო გაფიცვა მემელში დამთავრდა, მუშაობა განახლდა.

არ მოხწონთ.

მოსკოვი. 13 აპრილი. ლატვიის პრემიერ-მინისტრმა შრომის მინისტრთან საუბარის დროს გაილაშქრა წარმოებაში საქარხნო-საფაბრიკო კომიტეტების არსებობის წინააღმდეგ.

არჩევნების „თავისუფლება“

მოსკოვი. 13 აპრილი, კოვნოში და საერთოდ მთელ ლიტვაში არჩევნების წინ გახშირდა მუშების დევნა და დაპატიმრება. კოვნოში დაატუსაღეს მუშათა სიის კანდიდატი კუბიცკი.

რუსეთ-ფინეთის ხელშეკრულების განხილვა.

მოსკოვი. 13 აპრილი. გელსინგფორსში დამთავრდა რუსეთ-ფინეთის ხელშეკრულების შესახებ შეკითხვების განხილვა ხელშეკრულება პოკლე ხანში გაირჩევა ფინეთის სახელმწიფო საბჭოში.

ვილნოსა და ლიტვას შორის მიმოხვლის შეწყვეტა.

მოსკოვი. 13 აპრილი. პოლონეთის მთავრობის განკარგულებით ვილნოსა და ლიტვას შორის ყოველგვარი მიმოსვლა შეწყვეტილია.

ახლო აღმოსავლეთი

ჩესტერის კონცესია დამტკიცებულია.

ბერლინი. აპრილის 13-ს სტამბოლიდან მიღებული ცნობებით, ოსმალეთის დიდმა ეროვნულმა კრებამ 186 ხმით წინააღმდეგ 21 ხმისა მოიწონა ეგრედწოდებული ჩესტერის პროექტი კონცესიის შესახებ.

საფრანგეთის პროტესტი.

პარიზი. აპრილის 13-ს სტამბოლიდან მიღებული ცნობებით საფრანგეთის უმაღლესმა კომისარმა გენ. პალლემ გადასცა სტამბოლის სამხედრო გუბერნატორს ალილ-ფაშას საფრანგეთის ოფიციალური პროტესტი ოსმალეთის დიდი ეროვნული კრების მიერ მიღებული კანონ-პროექტის წინააღმდეგ, რომლითაც ამერიკის კამპანიას ჩესტერის მეთაურობით ეძლევა კონცესია ოსმალეთის რკინის გზების გაყვანისა და ნავთიანი ადგილების ექსპლოატაციისათვის. პროტესტი ემყარება იმაზე, რომ ასეთივე კონცესია მიეცა სულთანის მთავრობის მიერ საფრანგეთის კამპანიას ჯერ კიდევ 1914 წელს, აპრილში, საფრანგეთის მიერ ოსმალეთისათვის სესხის მიცემის ნაცვლად. აღნიშნავს რომ სამსუნ-სივაშის რკინის გზის გაყვანისათვის მუშაობის ნაწილი უკვე შესრულებულია და რომ საფრანგეთის საალმშენებლო კამპანია მზად არის შეუდგეს მომავალ მუშაობას, საფრანგეთის მთავრობა აცხადებს, რომ ის არ დაუშვებს იმას, რომ ოსმალეთის მთავრობამ არ შეასრულოს 1914 წელს თავის თავზე მიღებული ვალდებულებანი.

ინგლისის დელეგაციის გამგზავრება.

პარიზი. აპრილის 13-ს ლონდონიდან ინგლისის დელეგაცია გაემგზავრა ლოზანას კონფერენციაზე.

ხაბერძნეთი ჯიუტობს.

ბერლინი. აპრილის 13-ს საბერძნეთის გარეშე საქმეთა მინისტრმა განაცხადა, რომ საბერძნეთის მთავრობა კატეგორიულად უარს ამბობს ოსმალეთისათვის კონტრიბუციის გადახდაზე და ამჯობინებს სრულებით არ მოაწეროს ხელი ხელშეკრულებაზე.

ხამხედრო ტყვეების გადაცვლა.

პარიზი. აპრილის 13-ს ათინაში ჩავიდა ეშელონი რომელთაც დაბრუნდა საბერძნეთის 2,800 სამხედრო ტყვე. დანარჩენები დაბრუნდებიან სამშობლოში ზავის ჩამოგდების შემდეგ.

უარყოფა.

რომი. აპრილის 13 ს ბელგრადიდან ოფიციალურად უარყოფენ ხმებს სამხრეთ-სლავიის „ფედერატიულ მონარქიად გამოცხადების შესახებ.

ახალი ამბები

— **ამიერ-კავკასიის სახელმწიფო ვაჭრობის სამმართველოში.** ამიერ-კავკასიის სახელმწიფო ვაჭრობის სამმართველოს გამგეობამ აღიარა აპრილის, მაისის და ივნისის განმავლობაში მატყლის დამზადება სახელმწიფო ვაჭრობის სამმართველოს მთავარ ოპერაციათ.

დამზადება მოხდება შემდეგ რაიონებში: კახეთში, სომხეთში, ბორჩალოს და ტფილისის რაიონებში, განჯაში და დუშეთში. კახეთში დამზადებული იქნება თუშური მატყლი, სომხეთში—მაკინის და ოსმალეთის. ალექსანდროპოლში ოსმალური მატყლის დასამზადებლად გახსნილი იქნება სააგენტო ერთი რწმუნებულის სახით. ყველა ამ ოპერაციებისათვის არ იქნება შეკნილი განსაკუთრებული აპარატი, დამზადება მოხდება სანდო და გამოცდილ კონტრაგენტების საშუალებით.

— **ლექციები წითელ არმიელთათვის.** წითელ არმიელთა კლუბში დაიწყო ლექციები ქართულ ენაზე წითელ არმიელთათვის. ლექციები იკითხება საბეცნიერო და პოლიტიკურ თემებზე. ლექციების შემდეგ იმართება კამათი, რომელშიდაც მონაწილეობას ღებულობენ წითელ არმიელები.

— **წარმოდგენა ჯარში ახალ გაწვეულებისათვის.** წითელ არმიელების ცენტ. კლუბთან არსებული დრამატიული წრე შეუდგა წარმოდგენების მზადებას ჯარში ახლად გაწვეულებისათვის. პირველად წარმოდგენილი იქნება საგიტაციო ხასიათის პიესა „სურათი სოფელში“ ხუციშვილისა.

— **ხახოფლი ხამეურნეო საზოგადოებაში.** კვირას 15 აპრილს დილის 11 საათზე ხახოფლი სამეურნეო საზოგადოების მორიგ კრებაზე, ბარიატინის ქ. № 5-ში, საბელმწიფო უნივერსიტეტის ზოოტექნიის კათედრის ასისტენტი **ლევან ლეონიძე** წაიკითხავს თავის ახალ გამოკვლევას „**ლორი და მელოტობა ხაჭართველოში**“.

— **„ხაჭართველო, სომხეთი და აზერბეიჯანი“.** „ცეკავშირის“ გამომცემლობით გამოვიდა გ. გებტმანის მოკლე ეკონომიურ—გეოგრაფიული მიმოხილვა „საქართველო, სომხეთი და აზერბეიჯანი“. წიგნი 85 კაპ. ღირს ოქროთი.

— **ხახელმწიფოებრივ და კერძო გახართობების რეგისტრაცია.** ქ. ტფილისის რაონში ხდება რეგისტრაცია გასართობების, თეატრების, ცირკების, კლუბების, სახ. სახლების კინოების და ავრეთვე მეცნიერული და სამხატვრო გამოფენების წარმომადგენელნი უნდა გამოცხადდენ სახ. განათლების კომისარიატში ოთახი № 29, რეგისტრაციისათვის.

— **დაკარგული ბავშვი.** სახლიდან გაიპარა და ერთი თვე სრულდება რაც არა სჩანს 14 წლის ბავშვი ვლადიმერ (ვალოდია) კიკნაძე. მნახველს ვთხოვთ გვაცნობოს შემდეგი მისამართით: ქუთაისი, მარდალეიშვილის და ივანოვის ქ. მესამე შესახვევი № 22. **ალექსი კიკნაძეს.**

— **ქალაქის აღმასკომში საგარეჯოს მეტეოროლოგიური ხადგური.** აღმასკომის მცირე პრეზიდიუმმა დაადგინა ეთხოვოს განათლების სახალხო კომისარიატს, რათა მიიღოს თავის ხარჯზე საგარეჯოს მეტეოროლოგიური სადგური.

— **მილიციის თანამშრომლებისათვის უფასო პურის დარიგება.** ამავე პრეზიდიუმმა დაადგინა ეძლიოს მილიციის სამმართველოს განყოფილებას აღმასკომის საწყობიდან პურის ფქვილი, ან საკმაო თანხა ფულათ მილიციის თანამშრომლებისათვის დღეში ორი გირვანქა პურის უფასოდ დასარიგებლათ.

— **ხესხად გაცემულ ხორბლეულობის აკრება.** ტფილისის მაზრის აგრონომიულ ქვეგანყოფილების და დამთეს კომისიის ცნობით მარტამდი აკრებილია: ხორბალი—5,800 ფ. ქერი—1230 ფ. და სიმინდი—6300 ფუთი.

— **შეამდგომლობა.** ა. კ. რკინის გზის მომხმარებელ საზოგადოებამ რკინის გზის მმართველობას მიმართა შეამდგომლობით, რათა მიეცეს შეღავათიანი პირობები საბარგო მატარებლით სარგებლობისა, პროდუქტების გასატან—შემოსატანად.

— **ახალი ჟურნალი.** ტფილისის აღმასკომი სცემს თავის ორგანოს ყოველ კვირეულ ჟურნალს, სადაც მოთავსებული იქმნება მუნიციპალური განყოფილებები.

— **დამშეულთა დამხმარე კომიტეტის ახალი შემადგენლობა.** ამიერ-კავკასიის ცენტრ. აღმასრ. კომიტეტის დადგენილებით დამშეულთა დამხმარე მთავარ კომიტეტში შევიდნენ: ამიერ-კავკასიის ფინანსთა კომისარიატის წარმომადგენელი: ამხ. თუმანიშვილი, ამიერ-კავ. სასურსათო კომისარიატის—მუნიციატზადე, ამ-კავკ. შრომის კომისარიატის—ია კუბოვი, სამხედრო საბჭოს—[illegible] ლიად რუსეთის ამიერ-კავკ. კოოპერატიულ ცენტრ. კავშირის—ამხ. ჰადეკინი [illegible] ტის—ტერ-დაზარიანი.

პარტიაში

დღეს, შაბათს ორ საათზე, გაზეთ „ტრიბუნა“-ს რედაქციაში დანიშნულია **მეოთხე** რაიკომის სხდომა.

რაიკომის მდივანი.

კვირას, აპრილის 15-ს, დილის 10 საათზე, პარტიის მთავარ ბიუროში, დანიშნულია პარტიის ტფილისის კომიტეტის კრება; ვინაიდან ფრიად მნიშვნელოვანი საკითხებია გასარჩევი, ამიტომ კომიტეტის წევრებს ევალებათ უკლებლივ და თავის დროზე გამოცხადნენ.

კომიტეტის მდივანი.

მენშევიკების განცხადება.

(გაზ. კომუნისტიდან)

მბუჭდავთა კავშირის წევრების მენშევიკ მუშების.

პატივცემულო რედაქტორო!

ჩვენ ქვემორე ამის ხელის მომწერნი, ყოფილი წევრები ს. დ. მენშევიკური პარტიისა, დავრწმუნდით რა ხსენებულ პარტიისაგან მუშათა კლასის მიმართ ღალატში, ყველას გასაგონათ ვაცხადებთ, რომ ბოლშევიკური მთავრობა არის მუშებისა და გლეხების ნამდვილი ინტერესების დამცველი და ვსდგევართ საბჭოთა სისტემის თვალსაზრისზე.

(ხელს აწერს 13 კაცი).

ამხანაგო რედაქტორო!

გთხოვთ თქვენს პატივცემულ გაზეთში გამოაცხადოთ შემდეგი: ჩვენ ქვემორე ხელის მომწერნმა, აშკარათ დავინახეთ, რომ მენშევიკური პარტია და მისი იდეოლოგია ასკდა ჭეშმარიტ სოციალისტურ გზას. ჩვენთვის ეხლა ნათლად სჩანს, რომ ნამდვილი სწორი გზა კომუნიზმის მისაღწევათ, ეს არის გზა პროლეტარიატის დიქტატურა, მენშევიკურმა პარტიამ უარყო რა პროლეტარიატის დიქტატურა მით შეურიგდა ბურჟუაზიის დიქტატურას და მოქმედებდა ბურჟუაზიის საკეთილდღეოდ. რუსეთში ოქტომბრის რევოლიუციით გაბრაზებულმა მენშევიკებმა დაუწყეს სასტიკი ბრძოლა გამარჯვებულ პროლეტარიატს, შეურიგდენ და დაუკავშირდნენ თეთრ გენერლებს. მაგრამ ისტორიამ თავისი ჰქნა: მენშევიზმი მოკვდა. საქართველოში მენშევიკურმა პარტიამ დაიწყო მახლობელ ერებთან ბრძოლა, შემოუშვა ანტანტის ჯარები და ამ გზით შეიქნა ანტანტის ლაქია. თუ მივიღებთ ჩვენს საქართველოს დამოუკიდებლობის სინამდვილესა ვნახავთ, რომ ეს დამოუკიდებლობა იყო ფიქცია, საქართველო იყო ანტანტის კოლონია; თუ რომ სიმართლეს ვიტყვით, სინამდვილეში ეს „დამოუკიდებლობა“ იყო შეთხზული ბოლშევიზმის და საბჭოთა მთავრობის წინააღმდეგ და წარმოადგენდა ანტანტის ბრმა იარაღს. მენშევიკები ასრულებდენ პოლიტიკას ანტატის მიერ ნაკარნახევს ამ გზით ისინი შეიქნენ ყურმოჭრილი მონა ანტანტის იმპერიალიზმის საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების გამოცხადების დროს მათ გაიტაცეს ქართველი ხალხის ქონება. 1922 წელს მესამე კომუნისტურმა ინტერნაციონალმა მოუწოდა **ორ-და-ორნახევარ** ინტერნაციონალებს მთლიანი მუშათა ფრონტის განსახორციელებლათ კაპიტალიზმის საწინააღმდეგოთ. მენშევიკებმა ეს წინადადება უარყვეს და შეჰკრეს ფრონტი კაპიტალისტებთან. ჩვენ, მენშევიკური პარტიის წევრებმა დავინახეთ, დავაფასეთ რა მენშევიკური საქმიანობა, ეხლა ვსტოვებთ ამ პარტიას და უერთდებით მესამე კომუნისტურ ინტერნაციონალის მოწოდებას და ვიძლევით პატიოსან სიტყვას, დღეიდან ვიბრძოლებთ მსოფლიო ბურჟუაზიის წინააღმდეგ. მოუწოდებთ მთელ მუშათა კლასს და ყველ ჩვენს ყოფილ პარტიულ ამხანაგებს დასტოვონ მენშევიკური პარტია და შეურიგდენ მუშათა კლასის ინტერესების დამცველ მესამე ინტერნაციონალს.

ძირს ორი და ორ ნახევარი ყვითელი ინტერნაციონალები.

გაუმარჯოს მე-3 ინტერნაციონალს და მუშათა კლასს.

(ხელს აწერს 22 კაცი).

გაზეთ „კომუნისტის“ რედაქტორს!

მოქ. რედაქტორო! გთხოვთ თქვენ პატივცემულ გაზეთში გამოაცხადოთ შემდეგი: ჩვენ, ქვემორე ამაზედ ხელის მომწერნი, საკამიასერის თემის მუშები ღა გლეხები ვაცხადებთ, რომ გამოვდივარ მენშევიკური პარტიიდან.

(ხელს აწერს 26 კაცი).

ამხ. რედაქტორო!

გთხოვთ ადგილი დაუთმოთ გაზეთ „კომუნისტში“ ჩვენს გულწრფელ განცხადებას.

სოფ. გორა-ბერეჟოულში მცხოვრებ—საქართველოს ს. დ. მ. პ. (მენშევიკების) **წევრთა კრებამ** რომელიც მოხდა აპრილის 3-ს, განიხილა რა საკითხი პოლიტიკური მომენტის შესახებ დაადგინა: აშკარაა მენშევიკური პარტიის გაკოტრება, მისი შემთანხმებლობითი პოლიტიკა ბურჟუაზიის მიმართ ყოველ ინტერვენციების ცდა მუშათა კლასის და სოციალურ რევოლიუციის წინააღმდეგ აჯანყებების მოწყობა მშრომელთა ხელისუფლების ჩამოგდების მიზნით. ამიტომ ჩვენ ხმა მაღლა ვაცხადებთ მთელი მსოფლიოს მუშათა კლასის წინაშე, რომ ვტოვებთ მენშევიკურ პარტიის რიგებს და ჩვენ კლასობრივ ვალათ ვთვლით მთლიან მუშათა ფრონტის შექმნას მე-3 კომინტერნის წითელი დროშის ქვეშ ვსდგებთ ხელი შეეუწყოთ საბჭოთა ხელისუფლებას მსოფლიო იმპერიალიზმის საბოლოოდ დამხობისათვის.

ძირს მსოფლიო იმპერიალიზმი!

გაუმარჯოს სოციალისტურ რევოლიუციას მთელ მსოფლიოში!

(ხელს აწერს 30 კაცი).

ზღვის რეგ

ალარ არის ხუთახი ეკლესია!

საქართველოს ეკლესია ისე ათავებს თავის ცხოვრებას, რომ მწვალებლობა არ განუცდია. იმ დროს, როცა ბიზანტიაში განყენებული დოგმატებისა და ხატებისთვის სისხლის მღვრელი შეტაკება მორწმუნეთა და მწვალებელთ შორის არა ერთი მომხდარა კონსტანტინოპოლის ქუჩებსა და პროვინციის სხვა ქალაქებში, მეზობელი საქართველო, რომელიც ბიზანტიის დიდ გავლენას განიცდიდა, ისეთი ამბებისაგან ყოველთვის მოშორებით მდგარა. რომისა და კონსტანტინოპოლის ეკლესიების დიდ ბრძოლაში არავითარი მონაწილეობა არ მიუღია.

ზოგიერთ მკვლევარს ასეთი საქციელი, ე. ი. მწვალებლობისაგან შორს ყოფნა, მის გარეშე დგომა ლრმა სარწმუნოებრივი გრძნობის ნაყოფად ჩაუთვლია ქართველი ხალხისთვის, ნამდვილად კი ქართველთა შორის ასეთი ამბავი იმის მიზეზია, რომ ქართველი ბუნებით სარწმუნოების საქმეში უფრო გულ გრილია, ვიდრე გულ მხურვალე, უფრო მოქალაქეა, სხვისი შემგუებელი, ვიდრე ფანატიკოსი. ქართველობა აგებდა ხუროთ მოძღვრების საუკეთო ძეგლებს დიდ სავანე ლავრებს, რათგანაც იქ სწავლობდა მისი ახალგაზდობა, იქ იყო აკვანი ქართული კულტურისა, რომელიც ეფინებოდა მრთლად საქართველოს შუა საუკუნეთა განმავლობაში, ვიდრე სტამბას მოიგონებდენ. მოქალაქობრივი გრძნობის განვითარება იყო მისი მიზეზი, რომ მოზღვავებულ მტერს, ქრისტიანობამდისაც კი, ეომებოდა, რისთვისაც ზნეობრივ და ნივთიერ ენერგიას ურიცხვს ჰხარჯავდა. ფანატიზმი არ ყოფილა ძველ საქართველოში. უძლიერესი მუსლიმანი სულთნები სიძეები ყოფილან საქართველოს მმართველთ სახლობისა. მათვე ადვილად დაუტოვებიათ ქრისტიანობა და მიუღიათ მუსლიმანობა, რომ ქვეყანა გადაერჩინათ სპარსთა მიერ აოხრებისაგან. ხალხიც ასე მოქცეულა მესხეთ-ჯავახეთ-ჰანეთ-ჰერეთში. დღეს ისლამს აღიარებს, თავისი წინაპრების რჯული რა უნაცვლებია ენისთვის. პოეტის თეიმურაზ პირველის თქმით მის დროს (მე-18 ს.) სასულიერო წოდების კითხვა გადავარდნილი ყოფილა და ეს გადარა მიზეზი, რომ ლაყაფი **მაჯაბა** (სატრფოს ქება) დაუწერია. სპარსთა ზე-ხელმწიფეობის დროს ერთი ამბავი მოხდა. სპარსელებმა განიზრახეს მიზგითის აშენება ტფილისში ციხის უბანში, მაგრამ ქართველები ღამით ანგრევდნენ, რასაც სპარსელები დღისით აშენებდენ. ამ გვარ ვერ მოხერხდა მიზგითის აგება, მაგრამ ქართველებს აფიქრებდა ბედი არა სარწმუნოების, არამედ ქვეყნისა, რომელსაც სპარსელები ჰამას დაუწყებდენ.

რუსთ ხელმწიფობის იმპერიალისტურმა გადამგვარებელმა რეჟიმმა ქართველ ხალხს ბუნებრივი ინდიფერენტიზმი გაუძლიერა, მისი გულგრილობა პრაკტიკულ ულვთოებას დაუახლოვა და გარეულებს პოლიტიკის მატარებელი ეკლესიისაგან პირი აბრუნებინა.

აი ეს შეიქმნა მიზეზი, რომ ეს ჩვიდმეტი წლის განმავლობაში ხუცების გავლენის გარეშე დარჩენილი ქართველი მშრომელი ხალხი სოციალიზმის იდეას შეხვდა უფრო მომზადებული, ვიდრე საქართველოს სხვა რჯულის მასები. ამ მასებს ჯერ ხელი არ უხლიათ თავიანთი ეკლესიებისთვის, რადგანაც სასულიერო პირთა გავლენა მათზე დიდი იყო და არის დღესაც. ჩვენს ქვეყანაში ანტაგონიზმი მუსულმანთა და ქრისტიანთა შორის ერთის, ხოლო გრიგორიანთა და მართლმადიდებელთა შორის მეორის მხრით დათესილია უმთავრესად მოლებისა და ტერტერების მიერ, რომელნიც პანთურქისტების და პანარმენისტ-დაშნაკების აგენტობას ეწეოდენ.

სოციალიზმის ისტორიაში ქართველ პროლეტარიატს არამცირედი დამსახურება მიუძღვის. ხუთასი ეკლესია სასულიერო პირთაგან უვიცი ხალხის ყვლეფის იარაღად ყოფილი—დღეს ზოგი სკოლად, ზოგი თეატრად გადაუკეთებია! ქართველი ხალხი რომ რაციონალისტია, მკვდრეთით აღდგომა არა სწამს, იქაცა სჩანს, როცა აბესალომ და ეთერის საფლავის მნახველ ბედიარ ეშმაკს ათქმევინებს:

რა მშვენივრები ჰსვენიან!
იბეგე ადგებიანო?
აღდგომა წესიმც ნუ არის!

პეტრე მირიანაშვილი

ბუნების ცხოვრებიდან

საქართველოს პროფესიონალურ კავშირების საბჭოს მთავარ პრეზიდიუმის სხდომა.

(2 აპრილი 1923 წ.).

საქართველოს პროფკავშირის პრეზიდიუმის სხდომა გაიმართა 2 აპრილს ამა წელს. სხდომამ მოისმინა პროფკავშირის საბჭოსთან არსებულ ინჟინერების და ტეხნიკების ცენტრალურ ბიუროს მოხსენება სამი თვის: იანვრის, თებერვლის და მარტის მუშაობის შესახებ. ამხ. ბახუტოვმა შენიშნა ორი დეფექტი აღნიშნულ ბიუროს მუშაობაში, პირველი ის, რომ პროფკავშირთან არსებულ ინჟინერთა ბიურომ არ შეიტანა ტეხნიკური მეცნიერების ცოდნის პოპულიარიზაცია მუშების მასაში და მეორე—ბიუროს მაინც და მაინც დიდი აქტივობა არ გამოუჩენია მრეწველობის გაჯანმრთელებაში. ამხ. ბახუტოვს საჭიროდ მიაჩნია ბიუროს მუშაობის გაფართოვება, რათა სახალხო სამეურნეო საბჭომ ამ დარგში მოიწვიოს აღნიშნული ბიურო და არა გარეშე პირნი. აგრეთვე აუცილებლად საჭიროდ მიაჩნია პროვინციასთან უფრო მჭიდრო კავშირის დაკავება.

ამხ. კურულოვი უპასუხებს ბახუტოვს, რომ ინჟინრების ბიუროს არ შეუძლია თვით გამოიჩინოს ინიციატივა და აქტივობა, თუ ჩვენი განყოფილებები არ მოიწვევენ მათ სამუშაოთ. ამ ჟამათ სწარმოებს მუშაობა მრეწველობის გამოსარკვევად და აღნიშნული ბიურო აუცილებლივ მოწვეულ უნდა იქნეს სათანამშრომლოთ.

ამხ. ტიშკოვი ამტკიცებს, რომ ზოგიერთი კავშირის განყოფილებები აშკარად ზურგს უქცევენ ინჟენერების ბიუროს. იყო შემთხვევა, რომ როდესაც სამთანადნო კავშირში დაისვა საკითხი ერთი პროცენტის გადარიცხვის შესახებ, სამთანადნო კავშირის წარმომადგენელმა ამხ. შარიკიანმა პროტესტი განაცხადა ამ წინადადების გამო, იმ დროს, როდესაც კავშირის ინჟინრები სრულიად ეთანხმებოდნენ აღნიშნულ წინადადებას. კამათის შემდეგ ინჟინრების ბიურომ წინადადება შეიტანა პრეზიდიუმში ბიუროს სახელი შეიცვლის სამეცნიერო-ტეხნიკურ სექციად.

პრეზიდიუმმა დაადგინა: 1) ინჟინრების ცენტრალური ბიუროს ეწოდოს სამეცნიერო-ტეხნიკური სექცია, 2) წინადადება მისცენ კავშირის ყველა განყოფილებებს, რათა სამეცნიერო-ტეხნიკური სექცია ჩაბან საერთო მუშაობაში, 3) წინადადება მისცენ აღნიშნულ სექციას მიიღოს აქტიური მონაწილეობა მრეწველობის გამოკვლევაში, რომელსაც იკვლევს სატარიფო-ეკონომიური განყოფილება; აგრეთვე მიიღოს მონაწილეობა სამეცნიერო-ტეხნიკური ცოდნის პოპულიარიზაციაში კულტ-განყოფილებასთან შეთანხმებით, 4) წინადადება მიეცეს ორგანიზაციულ განყოფილებას მოახდინოს კავშირთა ყველა მდივნების თათბირი, სადაც დაისმება საკითხი ინჟინრების მოწვევის შესახებ საერთო კავშირის მუშაობაში, 5) ორგანიზაციულ განყოფილებას დაევალოს რათა მან აცნობოს კავშირის ცენტრალურ კომიტეტს და სამთანადნო კავშირის პრეზიდიუმს შარიკიანის პროტესტის შესახებ, როგორც უარყოფითი მოვლენა.

ლევ მარტოვი

(იული ცედერბაუმი)

„Мартов сам обезцветил себя и в историю войдет более безцветным, чем мог бы по своим политическим дарованиям.

„Я с глубокой грустью констатирую, что этот большой Человек и большой ум... не сыграл и десятой доли той благотворной роли, которую мог бы сыграть“.

А. В. Луначарскій

(„Великий переворот“ 1919 г. Гв. 98—9).

ამ რამდენიმე დღის წინად ქ. ბერლინში გარდაიცვალა რუსეთის ცნობილი სოციალ-დემოკრატი ლევ მარტოვი. ამ პოლიტიკური მოღვაწის როლი, როგორც სოციალ-დემოკრატიულ პარტიის შექმნის პროცესში, ისე რუსეთის პოლიტიკური ცხოვრების ისტორიაში მეტად დიდი არის. გ. პლეხანოვისა და ნ. ლენინის გვერდით აუცილებლად იხსენიება ლევ მარტოვიც, თუმცა თავისი ბუნებრივი თვისებებით ამ ორი დიდი პიროვნების სიმაღლემდე ვერ აღწევდა.

მარტოვი დაახლოვებით ამხ. ლენინთან ერთად გამოვიდა საშოლვაწეო ასპარეზზე და მრავალი ხნის განმავლობაში მას უჭერდა მხარს. ლენინი, მარტოვი და პოტრესოვი (სტაროვერი) განუყრელ ტრიოს შეადგენდნენ და მათ ახალი სული შეიტანეს საზღვარგარეთის სოციალ-დემოკრატიულ მიმდინარეობაში, მათ შეჰქმნეს და გააფართოვეს ნამდვილი რევოლიუციონური მიმდინარეობის ორგანო „ისკრა“. მაგრამ ეს თანამშრომლობა ამ სამი პიროვნებისა ვერ შეიქმნა ხანგრძლივი და 1903 წ. ყრილობის შემდეგ იმდენათ დაშორდნენ ერთი მეორეს, რომ მათ შორის თითქმის შეუძლებელი შეიქმნა გამაერთიანებელი ხაზის გამოძებნა. პოტრესოვი თავისი გონებითა და იდეოლოგიით ნამდვილი ოპორტიუნისტი გამოდგა და 1905 წლის შემდეგ იგი რუსეთის ს.-დემოკრატიას თავდაყირა მიაქანებდა ბურჟუაზიასთან კოალიციაში; ამხ. ნ. ლენინმა თავისი ენერგიული და ნაყოფიერი მუშაობით ნიადაგი ჩაუყარა რევოლიუციონურ ბოლშევიზმს, რომელიც შემდეგ კომუნისტურ პარტიად გადაკეთდა. ლ. მარტოვი, რომელიც დიდი გონებისა და საკმაო ერუდიციის, მხნე პიროვნება იყო, მაგრამ მოკლებული პოლიტიკური ბელადობისა და ბრძოლის გენერლობის თვისებებს, ყოველთვის ჭაანობდა ს.-დემოკრატიულ პარტიის ამ ორ უკიდურეს მიმდინარეობათა შორის. მარტოვი რევოლიუციონერი ამბიციებითა და კლასთა ბრძოლის პრინციპით შეიარაღებული გამოვიდა პოლიტიკურ ასპარეზზე; პრინციპიალურად მას არ სურდა კავშირი გაეწყვეტა თავის ძველ ლოზუნგებთან და ამიტომ ებრძოდა 1905 წელს შემდეგ ს.-დ. პარტიაში გაძლიერებულ ლიკვიდატორებს და ოპორტუნისმაგრამ გარკვეული რევოლიუციონური ხაზი მაინც ვერ მოსძებნა და ამით ფაქტიურად მათ უმაგრებდა ზურგსა. მარტოვი თავისი პოლიტიკური მსოფლმხედველობა და სამოღვაწეო პროგრამით ტიპიური ცენტრისტი იყო; უკეთ ნახევრად რეფორმისტი, ნახევრად რევოლიუციონერი და ნახევრად—ლიკვიდატორი. ასეთი ორმაგობა პლატიკაში მარტოვს ყოველთვის ორ სკამს შორის აძლევდა ადგილს. პოლიტიკური უხასიათობა, გაუბედაობა, უინიციატორობა და „[illegible]ოდინის პოზიციაზე“ დგომა რომელთაც დაჯილდოებული იყვნენ ცენტრალისტული მიმართულების ბელადები და მათ შორის უველაზე უფრო კ. კაუცკი, სავსებით ახასიათებდა ველ მარტოვს. იგი მოკლებული იყო ნამდვილ რევოლიუციონურს ინიციატივასა და აქტივობას და ამიტომ გარკვეული პოლიტიკური ხაზით სიარული ვერ შესძლო თანამედროვე გართულებულს პირობებში. მარტოვის მთელი ტრაგედია არის ტრაგედია იმ ცენტრალისტური მიმართულებისა, რომელიც დიდ რევოლიუციონურ მოძრაობაში დაიბნენ და აშკარა ანტი-რევოლიუციონურ გზას დაადგნენ.

ლევ მარტოვის პოლიტიკის დასახასიათებლად საინტერესო არის მისი პოზიცია ომისა და რუსეთის რევოლიუციის საკითხში. როდესაც ომი გამოცხადდა, მარტოვმა თავიდანვე მისი საწინააღმდეგო პოზიცია დაიჭირა და „დავდაცვით“ პოლიტიკაში ჩაფლულ ს.-დ. მოუწოდებდა გეზის შეცვლას, ამით ის თითქოს დაუახლოვდა ამხ. ლენინს. მაგრამ, როდესაც ცხოვრების მიმდინარეობამ დაეინებით მოითხოვა არა მარტო ომის საწინააღმდეგო აგიტაცია, არამედ ნამდვილი რევოლიუციონური მოქმედების წარმოება და პროგრამა, მარტოვი დაიბნა და გამოააშკარაა თავისი სახელოვნად—ოპორტიუნისტული ბუნება. ომის საკითხმა მოითხოვა რევოლიუციონურ პარტიებისაგან [illegible] მოხსნა; 1) გაწყვეტა ყოველგვარი კავშირის სოციალიმპერიალისტებთან და ოპორტიუნისტებთან, და 2) საერთაშორისო ომის სამოქალაქო ომად გადაქცევა. ამ დიადი ლოზუნგით გამოვიდა ამხ. ლენინი და ციმერვალდის (1915 წ.) მემარცხენე ფრთა. მარტოვმა უკუაგდო ეს რევოლიუციონური გეგმები და ციმერვალდის და კუნტალის (1916 წ.) კონფერენციაზე მემარჯვენე ფრთა გაამაგრა. ამით მან პოლიტიკურად ცენტრში ამოჰყო თავი, არ გასწყვიტა კავშირი რეფორმისტებთან და ომის წინააღმდეგ მხოლოდ მშრალი აგიტაციის წარმოებით დაკმაყოფილდა.

რევოლიუციის პროცესშიც მარტოვმა ასეთივე უხასიათობა გამოიჩინა. თებერვლის გადატრიალების შემდეგ მორიგ ამოცანად დაისვა საკითხი სრული ძალა-უფლების საბჭოებისათვის გადაცემისათვის, მემარჯვენე სოციალისტები ბურჟუაზიასთან კოალიციას მოითხოვდნენ და მთელს ძალა-უფლებას დროებითი მთავრობას უტოვებდნენ. მარტოვი უარყოფდა ბურჟუაზიასთან კოალიციას, მაგრამ საბჭოთა დიქტატურაც ერიდებოდა. მარტოვი სწერს: „მთელი ძალა-უფლება დემოკრატიას... ასე გაგებული დიქტატურა არ უნდა გადაიქცეს პროლეტარიატის, არმიისა და გლეხობის ნაწილების დიქტატურად, რომელიც მზად არის განახორციელოს არა დემოკრატიული, არამედ სოციალისტური ან ნახევრად სოციალისტური რევოლიუცია“ (იხ. „ისკრა“ 1917 წ. № 2) ამ გვარად მარტოვი მთელი თავისი ენერგიით ებრძოდა სოციალისტური რევოლიუციის დაწყებას რუსეთში. საბჭოთა სისტემა დიქტატურისა და სოციალისტური პოლიტიკის გარეშე, აშკარა აბსურდი შეიქმნა და რეალური ცხოვრება თავისი გზით წავიდა ოქტომბრის გადატრიალებისაკენ. მარტოვმა ოქტომბერსაც იდეური ომი გამოუცხადა და არ გაიზიარა მისი მეთოდები.

მაგრამ, როდესაც გერმანეთის რევოლიუციონური მოძრაობა დაიწყო და უნგრეთის პროლეტარიატმა, დაამყარა საბჭოთა სისტემა, მარტოვის აზროვნებაში მოხდა ცვლილება და ისიც ფიქრობდა ევროპის სოციალისტურ რევოლიუციაზე. ეს პერიოდი იყო მეტად დიდი რევოლიუციონური ენტუზიაზმის გამომხატველი! ევრობის კონტინენტზე დიდი ამაფეთქებელი ნივთიერებანი დაგროვდა რევოლიუციონური მოძრაობისათვის. მარტოვის ტემპერამენტიც აიწია ამ პერიოდში და რევოლიუციის ტალტებს აყვა. მაგრამ მდგომარეობა შეიცვალა და ევროპის კაპიტალიზმი როგორც პოლიტიკურად ისე ეკონომიურად შეტევაზე გადმოვიდა მუშათა კლასის მიმართ. ამ ცვლილების მიხედვით მარტოვის ენტუზიაზმიც დაეცა და მან აშკარა ბუჟუაზიული პროგრამა წამოაყენა.

აღსანიშნავია ის გარემობა, რომ მარტოვს დიდი იდეური წვლილი აქვს შეტანილი 2 ნახ. ინტერნაციონალის დაარსებაში, რომელიც საბჭოთა სისტემაზე აპირებდა დგომას და მასთანვე დიდათ ემიჯნებოდა მემარჯვენეების ოპორტიუნიზმს და ცდილობდა კავშირი დაეჭირა კომინტერთან. დღეს ეს ინ—ლი ლიკვიდაციის პროცესში იმყოფება და უერთდება მეორე რეფორმისტულ ინტერნაციონალს. მარტოვმა ამ პროცესშიაც დიდი როლი ითამაშა. მისი პოლიტიკური ხაზი შემდეგი გზით მიემართებოდა: რევოლიუცია დამარცხდა, კაპიტალიზმი ყოველი მიმართულებით იმარჯვებს და ამიტომ უნდა მიუშვათ ის და კაპიტალიზმი თვით შექმნის სოციალიზმისათვის ნიადაგს.

რუსეთში არსებულ პირობების შესახებ მარტოვი გარკვევით აშენებდა კაპიტალიზმის რესტავრაციის პროგრამას მთელი თავისი ატრიბუტებით. საბჭოთა სისტემიდან—პარლამენტისაკენ,—ასეთი იყო მარტოვის პოლიტიკური ხაზი. მარტოვი სწერდა თავის „პლატფორმაში“ „სოციალისტურ უწყების“ ფურცლებზე: ამდენ ხანს ჩვენ მხოლოდ იდეურ ბრძოლას ვაწარმოებდით არსებულ სისტემის წინააღმდეგ „სამოქალაქო ომის გამო; დღეს ეს ომი გათავებულია და ჩვენს ამოცანას შეადგენს ფაქტიური გადასვლა საბჭოებიდან პარლამენტის რეჟიმზე: ამ პროცესისათვის ჩვენ უნდა გამოვიყენოთ ყოველგვარი ორგანიზაციული ძალა...

მაგრამ საკმარისია... მოყვანილი ფაქტები ნათლად ახასიათებენ მარტოვის უკანასკნელ დროის პოლიტიკური ფიზონომიას...

ამ ბოლო დროს მენშევიზმის ბანაკი იხრწნება და ცნობილი მენშევიკები კომუნისტების მხარეზე გადადიან... მარტოვმა, რომელიც მემარცხენე ფრთას წარმოადგენდა მენშევიკებში, ვერ გაბედა ასეთი მძიმე პროცესი მენშევიზმიდან კომუნიზმის მშობიარობის ტკივილებისა. იგი უფრო უარეს ჩაეფლო ოპორტიუნიზმის ჭაობში, რომელსაც გაცხარებით ებრძოდა ეგი დიდი ხნის განმავლობაში; ასე დაემართა დიდ პლეხანოვსაც.

მარტოვი კლასთა ბრძოლისა და პროლეტარიატის დიქტატურის ლოზუნგებით შეეკრა რუსეთის მოძრაობაში; გარდაიცვალა, მოკვდა, როგორც მოწინააღმდეგე პროლეტარიატის დიქტატურისა და სოციალისტური რევოლიუციისა.

ბ. ბ.

ხელოვნებიდან

იტალიელი მსახიობის ტენორი ვაგნერის ვახტრლები.

მილანის თეატრის La Scala"-ს მსახიობი-ტენორი ბ-ნი ვაგნერ გამოვიდა ჩვენი საოპერო თეატრის სცენაზე. მომღერალი გამოვიდა ვერდის ოპერა „ოტელოს“ მთავარ პარტიის მაერის—(ოტელოს) აღმასრულებლათ. ველოდებოდით დიდ საოპერო დღეს, ვინაიდან მომღერლის გამოსვლის წინ უძღოდა ლაპარაკი მის შესახებ, როგორც ევროპაში სახელგანთქმულ მომღერლისა. ამის გარდა მართალაც, რომ მაღალ ნიჭიერი ნაწარმოები ვერდისა ძლიერ უყვართ ტფილისელებს და რამოდენიმე წელიწადია რაც ის არ დადგმულა ტფილისის საოპერო თეატრის სცენაზე. ყველა ამან მიიზიდა დიდ-ძალი საზოგადოება და გაიჭედა სახელმწიფო საოპერო თეატრი. მე ძლიერ მიხარია, რომ არ მივეცი ანგარიში გაზეთს ბ-ნი ვაგნის პირველი გამოსვლის შემდეგ, ვინაიდან ბ-ნი ვაგნის პირველსა და მეორე გამოსვლის შორის დიდი განსხვავება არის. ოპერა „ოტელო“ იწყება სცენით ზღვის პირათ ქარიშხლის დროს, სადაც უკდიან ომისგან დაბრუნებას კუნ

ძულ კიპროსის გენერალ ოტელოს, წარმომადგენელს ვენეციის რესპუბლიკისა კუნძულ კიპროსზე.

და აი მღელვარე ბრბოში ჯგამოჩნდება ოტელო. პარტია იწყება მუსიკალურ ფროზით „e sultate l' orgolio mussulmano, სადაც ოტელო ატყობინებს თათრებზე გამარჯვებას, ფრაზა დაწერილია მაღალ ტესიტურით და იმღერება forte გაბედულათ და ამაყათ. თუ მომღერალმა კარგათ შეასრულა შესავალი ფრაზა, საზოგადოება დაპყრობილია და გამარჯვებაც წინასწარია.

„ოტელოს“ პირველი წარმოდგენის დროს ეს ფრაზა შესრულებული იქმნა გაუბედავათ, მკრთალი ხმით, რასაც არც ერთი ტაში არ გამოუწვევია აუდიტორიაში. რასაკვირველია მე ამ მარცხს არ ვაწერ ბ-ონ ვაგგის მუსიკალურ უნიჭობას, რომ ვითომ მას არ ჰქონდეს ხმა—მე ვხსნი მას მხოლოდ და მხოლოდ იმ მღელვარებით, რომელმაც შეიპყრო მსახიობი და არ მისცა საშვალება ხმის განვითარებისა. ჩემი აზრები ბრწყინვალეთ გაამართლა ბ-ონ ვაგგის მეორე გამოსვლამ, რომელმაც პირველი შესავალი ფრაზის აღსრულებით გამოიწვია დიდი აპლოდისმენტები. მსახიობის წარმატება იზრდებოდა ოპერის განვითარებასთან ერთად.

პირველ დუეტში, რომელიც სრულიად განსაკუთრებულია თავისი სილამაზით, გამოაშკარავდა ხმა იტალიურ bel-canto-ს: დუეტი ჩატარდა მშვენიერად. მთელი პარტია ოტელოსი არის შინაგანი განცდა, ხელი-ხელ ჩაკიდებული მიდის პარტიის ვოკალურ მხარესთან ერთად. თითოეული მუსიკალური ფრაზა პარტიისა, თითოეული რეჩიტატივი (ოპერაში ხომ ბევრია რეჩიტატივები და ისინი საუცხოვოა მუსიკასთან ერთად) გადმოსცემს ოტელოს შინაგან განცდას, თავდავიწყებით სიყვარულს თავის ცოლის დესდემონასი, უსაზღვრო ვნების, ეჭვს, თუმცა მღელვარებამ მეორე მოქმედებაში მსახიობს არ მისცა საშვალება დაესურათებია ოტელოს მორალური მხარეები, რომელიც იყო ორ ცეცხლს შუა. სიყვარული და თაყვანისცემა დესდემონასი და ცილისწამება ოტელოს მახლობელი საძაგელი იაგოსი, რომელიც სიყვარულით თავისი ხელობისა (როგორც ამბობს თვით იაგო) სცდილობდა აღეძრა ოტელოში ეჭვი, რის არავითარი საბაბი არ ჰქონდა და რამაც მიიყვანა ოტელო საშინელ ბოროტ-მოქმედებამდის — მოჰკლა თავისი ცოლი და თვით მოიკლა თავი.

ყველა სცენები იქვიანობისა და ყველა ის, რაც უწყობდა ხელს შეეჭვებას დესდემონას ერთგულებაში, რასაც საუცხოოთ გვიხატავს მუსიკა, ჩატარებულ იქმნა რეალიზმის გარეშე. მაგ. სცენა ცხვირსახოცით, რაც შემთხვევით დაუვარდა დესდემონას და აიღო იაგომ, რომელმაც დაარწმუნა ოტელო, რომ ცხვირსახოცი მან უნახა დესდემონას საყვარელს კასიოს, ჩატარდა მკრთალათ. სცენამ ოტელოს ფიცისა, რომ შურს იძიებს ღალატისათვის („il falcoletto“ და „Sangue-Sangue“) მოახდინა დიდი შთაბეჭდილება, მსახიობი კარგად მღეროდა და თამაშობდა.

ბ-ნმა ვაგგიმ მესამე მოქმედებაში მშვენივრად შეასრულა დუეტი დესდემონასთან. სცენა ვენეციელ ელჩის მიღებისა ჩატარდა კარგათ, მაგრამ სცენა ელჩთან თხოულობს მეტ ტემპერამენტს, აქ ხომ ეჭვი ოტელოსი აღწევს თავის განვითარების აპოგეოს და სცენა თავდება ოტელოს უგრძნობლათ დაცემით.

მთელი მეოთხე მოქმედება ჩატარდა ბრწყინვალეთ, მსახიობი მშვენივრათ მღეროდა და თამაშობდა. სცენა დესდემონას გამოთხოვებისა (მისი სიკვდილის წინ) და სასოწარკვეთილება ოტელოსი, როდესაც გაიგებს დესდემონას უდანაშაულობას—მსახიობმა ჩაატარა მშვენივრად. საბოლოოდ რომ გამოვსთქვა ჩემი აზრი ბ-ონ ვაგვის შესახებ დაუცდი მის სხვა გასტროლებს. ვიტვი მხოლოდ, რომ ვაგგი არის მომღერალი და მსახიობი მაღალი ნიჭით დაჯილდოვებული.

დესდემონას მშვენიერი სახე მოგვცა ქ—მა ბოკოვამ. მის სიმღერაში იმდენი სიგულწრფელე, იმდენი სითბო და მუსიკალობაა, რომ გული აუძგერა მსმენელთ.

სიმღერა ივაზე და ლოცვა „Ave Maria“, მომხიბლავი ადგილები ოპერისა, ქ-ნმა ბოკოვამ ჩაატარა მბატვრულად.

იაგო—ამ საძაგელის par excelance პარტიას მღეროდა ბ-ნი ინაშვილი. ახალგაზრდა მსახიობს ჯერჯერობით ბოლომდის ვერ დაუმუშავებია ამ კლასიკური ინტრიგანის სახე, მაგრამ იაგოს ტიპს კარგად ჩაჰკვირვებია და ორთავე გამოსვლაში მშვენივრათ მღეროდა ბ-მა ინაშვილმა მეორე გამოსვლაში უფრო დეტალურათ დაამუშავა სცენა, როდესაც ის ფიქრობს თავის ბოროტ განზრახვების და ადამიანის დამძიმებულ ცხოვრების შესახებ. ოპერაში ეს მშვენიერი სცენა „Gredo“ იმღერება mezzo voce ხმა ძლიერდება სცენის შუა ადგილზე და სცენის დამთავრება უნდა მოხდეს piano-თი (et piu nulla—შემდეგ... არაფერი). დარწმუნებული ვარ, რომ ნიჭიერი მსახიობი ინაშვილი ახლო მომავალში ისე დეტალურათ დაამუშავებს იაგოს პარტიას, რომ ის გახდება დამამშვენებელი მისი მრავალფეროვანი რეპერტუარის პარტია კი ღირს ამათ, ის ხომ მხოლოდ გამოჩენილ მომღერალთა რეპერტუარში შედის.

სამწუხაროდ უჯერულად ჩატარდა სცენა იმის გამარჯვების დღესასწაულისა, უგრძნობლად დაცემულ ოტელოზე, როცა ფეხს ადებს ოტელოს გულზე იცის რომ ოტელოს არ შეუძლია წინააღმდეგობა. „Ecce Leone“—აი ლომი ამბობს—აქ დამნაშავეა ვაგგი, რომელიც დაეცა არა ავან სცენაზე, არამედ თითითქმის კულისებში.

საუცხოოდ მართავს ორკესტრს ბ-ნი ივანე ფალიაშვილი, მაგრამ მე არ შემიძლია დავეთანხმო ზოგიერთ Tempo მაგ. სიმღერა brindis პირველ მოქმედებაში იმღერება ორჯერ უფრო ჩქარა, მაგრამ პარტიტურა იქ „Alegro conbrio“. ოპერის დადგმა ახალს არაფერს იძლევა, მაგრამ საერთოდ კარგი იყო. გუნდი, განსაკუთრებით კი ქალთა.

—

— **ჟურნალი „ილიონი“**. გამოვიდა ჟურ. „ილიონის“ № 4 შემდეგი შინაარსით: **ი. გრიშაშვილი**: მე და ევროპა, **ტ. გრანელი**: სიჩუმე და სიმარტოვე, **მარიჯან**: შენი ქორწილი, **ი. მონაშვილი** დოღში სწორებთან, **ა. ჭუმბაძე**: La derniere, **ი. ყანჩელი**: ფარული მწუხარება, **კ. გამხახურდია**: გარსი მორადი, **ლ. ახობაძე**: სამი შეხვედრა, **უიარალო**: მოაზროვნე „ტრილობიტი“, **ვ. გორგაძე**: შალვა კარმელი, **კ. აბაშიძე**: „გარსი მარადი“, **ი. ტატიშვილი**: კრიშინა, **ლ. გ. ფონ-ვეზენდონკი**: სულთა მიგრაცია, პროფ. **გრ. წერეთელი**: ჰეროდა, **ბიბლიოგრაფია**. ფასი 30 კაპ.

—

სახალხო სახლში. კვირას, 15 აპრილს, სახ. სახლში შესდგება ბენეფისი ნიჭიერი მსახიობი ქალის თამარა გოგოლაშვილისა. წარმოდგენილი იქნება კ. გერგესელის პიესა „ელეონორა“.

—

დავიწყებული მგოსანი

(საქ. მწერ. კავშ. საყურადღებოდ)

ოთხი წელი სრულდება მას შემდგომ, რაც ბრძოლის ერთ-ერთ ასპარეზზე რაინდულად დაიღუპა ახალგაზრდა მგოსანი **გრ. მეგრელიშვილი** (მთის ნიავი). დაღუპულ მგოსანს დიდი ნიჭი ეტყობოდა და მის ლექსებს ჭეშმარიტი პოეტური სინაზე ათთრთოლებდა...

გრიგოლ მეგრელიშვილმა 1916 წელს დაამთავრა ტფილისის ქართული გიმნაზია და იმავ წელს ჯარში გაიწვიეს. 917 წლიდან იგი ისევ ჯარში ტრიალებს, უბრალო ჯარის კაცად, საქართველოს დამოუკიდებლობის გამოცხადების დღეებში იგი ოსმალეთის ბრძოლის ასპარეზზე იბრძოდა, სადაც გაიწირა კიდეც, მგოსანი ჰასაკით სულ ბავშვი იყო ცხრამეტ-ოცი წლისა, ბუნებით მეტად ამაყი და მედგარი.

გრ. მეგრელიშვილი თავის ლექსებს ჰბეჭდავდა თითქმის ყველა ჟურნალ გაზეთებში. ხშირი წერა მას არ უყვარდა, მაგრამ ყოველი მისი ლექსი საზოგადოებაში დიდ ინტერესს იწვევდა. განსვენებულს დარჩა მრავალი ხელნაწერი (რამდენიმე პოემაც), რომლის გამოცემაც მეტად სასურველია და, ჩვენ ვფიქრობთ, ეს საქმე პირველ ყოვლისა საქართველოს მწერალთა კავშირმა უნდა იდვას თავს.

ირ—დი.

—

სრულიად საქართველოს მწერალთა ყრილობა—ხუთშაბათს 12 აპრილს ტფილისში ხელოვნების სასახლეში გაიხსნა სრულიად საქართველოს მწერალთა ყრილობა დრამატურგ ნ. შიუკაშვილის თავჯდომარეობით. ყრილობა გაგრძელდება სამ დღეს.

—

„მაკბეტი“—დღეს რუსთველის თეატრში წარმოდგენილი იქნება პირველად ქართულ სცენაზე შექსპირის ტრაგედია „მაკბეტი“ თარგმანი ივანე მაჩაბლისა. მაკბეტის როლს ასრულებს ალ. იმედაშვილი, ლედი მაკბეტს ცაცა ამირაჯიბი. პიესას დასდგამს მ. ქორელი.

მუშაობის მოქმედებანი
— და განკარგულებანი —

დადგენილება № 36.

სრულიად საქართველოს მუშათა, წითელ არმიელთა და გლეხთა დეპუტატების საბჭოთა ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტისა და სახალხო კომისართა საბჭოსი.

1901 წ. დაბადებულ მოქალაქეთა ჯარში გაწვევის შესახებ.

საქართველოს სოც. საბჭ. რესპუბლიკის რევოლიუციონური კომიტეტის 1921 წ. 31 და 40 ნომრით გამოცემული დეკრეტის დამატებისა და განვითარებისათვის, სრულიად საქართველოს მუშათა, წითელ არმიელთა და გლეხთა დეპუტატების საბჭოთა ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტი და სახალხო კომისართა საბჭო ადგენენ:

1. გაწვეულ იქნენ ნამდვილ სამხედრო სამსახურში მოკავშირე სოციალისტურ საბჭოთა რესპუბლიკების 1901 წ. დაბადებული მოქალაქენი, რომელნიც სცხოვრობენ საქართველოს სოც. საბჭ. რესპ. ტერიტორიაზე.

2. ამა **გაწვევისაგან განთავისუფლებულ იქნენ:**

ა) მოქალაქენი მაჰმადის სარწმუნოებისა,

ბ) სექტანტები,

გ) მთიელნი, (ხევსურნი, ფშავნი, თუშნი), რომელნიც სცხოვრობენ მთის ხეობაში—ყაზბეგის აღმოსავლეთით:

დ) ქრისტიანი აფხაზნი:

ე) მოქალაქენი, რომელთაც არ იციან არც ქართული და არც რუსული ენა:

ვ) ის პირნი, რომელთაც თავისი კლასიური მდგომარეობისა და საბჭოთა ხელისუფლების მიმართ აქტიური მტრული განწყობილების გამო, არ შეიძლება მიენდოთ იარაღით ხელში საბჭოთა ხელისუფლების დაცვა;

ზ) მასწავლებელნი, თანახმად საქართველოს რევოლიუციონური კომიტეტის 1921 წლ. მე-40 ნომრის დეკრეტისა;

თ) ფიზიკურ ნაკლულევანებათა და ავამყოფობის გამო, თანახმად ამიერ-კავკასიის საბჭოთა ფედერატიული რესპუბლიკის სამხედრო და საზღვაო სახ. კომისარიატის 1922 წლ. მე-40 ნომრის ბრძანებისა და ავადმყოფობათა საგანგებო ნუსხისა, რომელიც გამოცემულ უნდა იქნეს ხსენებული ბრძანების დამატებათ.

3. **ჯარში გაწვევ-ს ვადა გადაედოთ;**

ა) ფიზიკურათ დაუფაქაცებელთ და ავათმყოფთ;

ბ) 1) უმაღლეს სასწავლებელში მოსწავლეთ, თანახმად საქართველოს რევოლიუციონური კომიტეტის 1921წ. მე-40 ნომრის დეკრეტისა, 2) საშუალო სასწავლებლების მოსწავლეთ—კურსის დამთავრებამდე;

გ) გადმოსახლებულთ და განსახლებულთ, თანახმად ამიერ-კავკასიის სოც. ფედ. საბჭ. რესპუბლიკის სამხედრო და საზღვაო სახალხო კომისარიატის ამა 1923 წლის მარტის 8-ს თარიღისა და 63 ნომრის ბრძანებისა.

4. **ხრულიად არ უნდა იქნენ გაწვეულნი:**

ა) იმ სახელმწიფოთა ქვეშევრდომი მოქალაქენი, რომელნიც არ შედიან სოც. საბჭ. რესპუბლიკების კავშირში;

ბ) ის პირნი, რომელნიც სასამაილოს განაჩენით მოკლებულ არიან აქტიურ და პასიურ საარჩევნო უფლებას.

5. ამა დადგენილების მე-2 მუხლის ა, ბ, გ, დ, ე, ვ, პუნქტებში ჩამოთვლილ მოქალაქეთ დაედვას ფულადი გადასახადი, თანახმად ცალკე დადგენილებისა, რომელიც გამოიცემა დამატებით.

6. ჯარში გასაწვევი მოქალაქენი, რომელთაც არ იციან ქართული ენა, ხოლო რუსული ენა კი იციან, გაიგზავნონ რუსეთის სოც. ფედ. საბჭ. რესპუბლიკის და სხვა საბჭოთა რესპუბლიკების წითელი არმიის ნაწილებისა და დაწესებულებათა შესავსებად—ცალკე კავკასიის არმიის რევოლიუციონური სამხედრო საბჭოს განკარგულების თანახმად.

7. 1901 წ. დაბადებულთაგან არც ერთი მოქალაქე, აღნიშნული ამა დადგენილების მე-2, 3 და 4 არ განთავისუფლდებიან მიმღებ კომისიაში გამოცხადებისაგან შესაკრებ პუნქტზე.

8. 1901 წ. დაბადებული ყველა მოქალაქე, რომელიც თავს გაარიდებს შესაკრებ პუნქტზე მიმღებ კომისიაში გამოცხადებას, ან რომელიც სამსახურში მიღების შემდეგ დეზერტირად გავა, უნდა მიეცეს სათანადო სამართალი.

სასჯელის მოხდის შემდეგ ასეთი პირი მოვალეა იმსახუროს ჯარში ნამდვილ სამხედრო სამსახურისათვის დაწესებული ვადის გარდა, დეზერტირობისა და გამოუცხადებლობის დროს გატარებული ერთი დღის ნაცვლად—ორი დღე; ამასთანავე სამსახურის ვადაში არ უნდა ჩაეთვალოს სასჯელის მოსახდელად გატარებული დრო.

9. ნამდვილ სამხედრო სამსახურში გამოცხადებისაგან თავ-გარიდებული და დეზერტირების წინააღმდეგ აღკვეთის ზომათ აუცილებლათ მიღებულ უნდა აქნეს დამნაშავეთა დაპატიმრება.

10. 1901 წ. დაბადებულ მოქალაქეთა ჯარში გაწვევა მოხდეს ორ რიგათ ა. წ. აპრილისა და ოქტომბრის თვეების განმავლობაში საქართველოს სოც. საბჭ. რესპუალიკის სამხედრო კომისრისა და შინაგან საქმეთა სახალხო კომისრის განკარგულებისამებრ იმ პირობით, რომ მშრომელი ოჯახის ერთად ერთი მომუშავე, რომელიც ეწევა სასოფლო მეურნეობას, გაწვეულ იქნეს მეორე რიგში.

შენიშვნა: იმ მოქალაქეთა გაწვევა, რომელთაც არ იციან ქართული ენა, ხოლო იციან რუსული ენა, მოხდეს პირველ რიგში მთლად, გარდა მშრომელი ოჯახის ერთად-ერთი მომუშავისა, რომელიც ეწევა სოფლის მეურნეობას, ამათი გაწვევა მოხდება მეორე რიგში.

11. დადგენილება ესე ძალაში შედის დღიდან მისი გამოქვეყნებისა.

სრულიად საქართველოს მუშათა, წითელ არმიელთა და გლეხთა დეპუტატების საბჭოთა ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის თავმჯდომარე **მ. ცხაკაია.**

საქართველოს სოც. საბჭ. რესპუბლიკის სახალხო კომისართა საბჭოს თავმჯდომარე

შ. ელიავა.

სრულიად საქართველოს საბჭოთა ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის მდივანი **ა. ხაბაშვილი.**

1923 წ. აპრილის 11.

ტფილისი—სასახლე.

წერილი რედაქციის მიმართ

ამხანაგო რედაქტორო! გთხოვთ ადგილი დუთმოთ ჩემს განცხადებას თქვენს გაზეთში:

საბჭოთა ხელისუფლების დამყარების შემდეგ საქართველოში მე არც ერთ პარტიაში არ მიმუშავნია და არც მანამდე პოლიტიკურ სფეროში გამოურკვევლობისა გამო. დღეს კი მსურს მთელი ჩემი შეგნებით მივიდე და ვიმუშაო იმ პარტიაში, რომელიც მტკიცედ იცავს ერისა და მშრომელთა ინტერესებს. ამიტომ დღეიდან მსურს ჩავირიცხო მემარცხენე სოც.-ფედერალისტთა პარტიაში.

(ნინო დათიაშვილის ასული).

რედაქტორი—სარედაქციო კოლეგია.
გამომცემელი—მთავარი კომიტეტი.

გამოცდილი ბუღგალტერი

ეძებს ადგილს, რომელსაც შეუძლია საქმის წარმოება, როგორც ქართულ, აგრეთვე რუსულ ენაზე. მოლაპარაკება შეიძლება „ტრიბუნა“-ის რედაქციაში. სასახლის ქ. № 6, 9—2 საათამდე.

თანახმად ტფილისის აღმასკომის პრეზიდიუმის დადგენილებისა

ამა წლის 7 აპრილის თარიღით, 15 აპრილიდან ქალაქის აბანოებში შემოღებულია შემდეგი ტარიფი:

აბანო № 3. (ყოფ. სუმბათაშვილის)	
ნომრები: 1, 2, 3,	350,000 მან.
საერთო	70,000 „
აბანო № 4 (ყოფ. არლუთინსკის)	
ნომრები: 1, 2, 3, 4, 5, 6,	350,000 მან.
საერთო	70,000 „
აბანო № 5 (ყოფ. ციციანოვის)	
ნომრები: 1, 2, 3, 4.	300,000 მან.
საერთო	70,000 „
აბანო № 6. (ყოფ. ფანტაზია)	
ნომრები: 1, 2, 3, 4.	350,000 მან.
საერთო. კაცების და ქალების	70.000 „
აბანო № 7 (ყოფ. ერეკლეს და შალამოვის)	
ნომრები: 1, 2, 3, 4, 5, 6, 7, 8, 9, 10.	350,000 მან.
საერთო.	70,000 „
აბანო № 8 (ყოფ. ორბელიანის)	
ნომრები: 1, 2, 3, 4, 5, 6.	350,000 მან.
7, 8, 9, 10.	300,000 „
საერთო.	70,000 „
აბანო № 9 (ყოფ. მირზოევის)	
ნომრები: 1, 2, 3, 4, 5, 6, 7, 8, 9, 10.	350,000 მან.
საერთო კაცების და ქალების.	70,000 „
აბანო № 13. (ყოფ. ყარაჯევის)	
საერთო კაცების.	80,000 მან.
აბანო № 14. (ყოფ. უნანოვის)	
ნომრები: 1, 2, 3, 4, 5, 5, 7, 8.	350,000 მან.
საერთო კაცების და ქალების.	80,000 „

ადმინისტრაცია.

№ 317—2—1

ტირაჟი 900 ნება დართულია ლიტერატურისა და გამომცემლობის მთავარმართველობის მიერ № 192. საქართ. ფშაფლ. მეურ. საბჭ. პოლიგრაფ. განყოფ. სტამბა კრუზენშტეინის ქუჩ. № 2